ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 60232862**

თარიღი:**13/10/2023**

ხონის მერიის ახალგაზრდული საბჭოს წევრების შერჩევის სპეციალური კომისიის

შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 62-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ახალგაზრდული საბჭოს წევრების შერჩევის სპეციალური კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

- ლადო ჯურხაძე, ხონის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

- მანანა გოფოძე, მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

- მარიამ რუხაძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

- თამარ უგულავა, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

2. ეთხოვოს კომისიის მუშაობაში წევრის სტატუსით მონაწილეობის მიღება:

- გელა ჩოგოვაძეს, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კომისიის წევრი;

- ბაჩანა ბასილაიას, ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი - კომისიის წევრი;

- ლევან ხვიჩიას, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი, პროექტის „ხონის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება“ მენეჯერი - კომისიის წევრი.

3. კომისიამ თავისი საქმიანობა განახორციელოს ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება N ბ60. 6023284001-ის „ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს დებულების“ შესაბამისად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1).

5. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი